საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3935/01
21/04/2021

3935-01-2-202104211421

ინდ. მეწარმე ელგუჯა კუპატაძეს

მის: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. N49/31

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი სკრინინგის განცხადება (N5630; 30.03.2021), რომელიც ეხება ქ. ქუთაისში პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენის გადამუშავების (ნარჩენების აღდგენის) სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 2200 მეტრს. საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 300 მეტრში ფიქსირდება დასახლება. შესაბამისად საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეული შეიძლება იყოს - პლასტმასის ტარა, შესაფუთი მასალა, პლასტმასის შემცველი საყოფაცხოვრებო ნივთები და ა.შ. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში განხილულია მხოლოდ ერთი სახის ნარჩენის გადამუშავების საკითხი. კერძოდ აღნიშნულია, რომ საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს- პლასტმასის შესაფუთ მასალას (კოდი 15 10 02). სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული სხვა სახის, გადასამუშავებელი, ნარჩენების შესახებ ინფორმაცია. მნიშვნელოვანია დასამუშავებელი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის, კოდის და

დასახელების იდენტიფიცირება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებით დამტკიცებული ნარჩენების ნუსხის მიხედვით. ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ნარჩენების მახასიათებლების და წარმოშობის შესახებ;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმო ნედლეულად იყენებს პლასტმასის ნარჩენებს, რომელსაც იძენს სხვადასხვა მომწოდებლებისაგან. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოსთვის ნარჩენების მიწოდების, მათ შორის ნარჩენების იმპორტის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია გადასამუშავებელი ნედლეულის ტრანსპორტირების და ტრანსპორტირების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით არ არის მოცემული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასების შესახებ ინფორმაცია, განსაკუთრებით უახლოესი მოსახლის გათვალისწინებით, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ხმაურის დონის დადგენის მიზნით შესაბამისი ხელსაწყოთი ჩატარდა ინსტრუმენტული გაზომვები. მოცემული შედეგების მიხედვით, საწარმოო უბანზე დღის განმავლობაში მოსალოდნელია 45-50 დბა ხმაურის გავრცელება. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაურის დონე ვერ გადააჭარბებს დადგენილ ნორმას, ვინაიდან - საამქრო დახურულ შენობაშია, რომელიც ხმაურს ამცირებს არანაკლებ 15 დბ-ით, ხოლო საწარმო უახლოესი საცხოვრებელი უბნიდან დაშორებულია 2200 მ მანძილით. ზემოაღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან - უახლოეს დასახლებამდე მითითებული მანძილი მნიშვნელოვნად განსხვავდება, საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგენილი (300 მ) მანძილისაგან;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ სასმელი წყლის შემოტანა მოხდება წყლის რეზერვუარით, ამასთან საწარმოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიტარული კვანძი. სკრინინგის განცხადებაში არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, ტერიტორიაზე მოწყობილია თუ არა საასენიზაციო ორმო,

შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო-ფეკალური წყლის წარმოქმნის და მისი მართვის საკითხები;

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და საჭიროებს დაზუსტებას;

სამინისტრო, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე